F 2683/2 N 1344ბ

№ 1 ყოველდღიური გაზეთი

წელიწადი 1. კვირა 1 ივლისი, 1912

# ჩვენი ცხოვრება

გაზ. „ჩვენი ცხოვრება“ ღირს როგორც ქუთაისში, ისე ქუთაისს გარეთ, ერთი წლით—7 მ., ნახევ. წლით—4 მ., სამი თვით ქუთაისში—2 მ. და 50 კ., თვიურათ ქუთაისში—80 კ., ქუთაისს გარეთ—90 კ. ცალკე ნუმრის ფასი ყველგან ერთი შაური. საზღვარგარეთ ორჯერ მეტი იმაზე, რამდენიც ქუთაისში ღირს.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით—15 კ., უკანასკნელზე—10 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 3 მ., 3 საათს შემდეგ 4 მან. გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები არ ინახება. ამათ შესახებ რედაქცია არავითარ მიწერ მოწერას არ კისრულობს. ერთი თვით ინახება მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. ადრესის გამოცვლა პროვინციაში 40 კ.

რედაქციის ადრესი: ქუთაისი, ალექსანდრეს ქუჩა, თევდორაძის სახლში.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

Библиотека ИМЭЛ при ЦК ВКП(б)

? ? ? ?

ამ წლის პირველი ივლისიდან ქ. ქუთაისში გამოდის ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო ქართული გაზეთი

„ჩვენი ცხოვრება“

გაზეთი წლიურათ ღირს 7 მან., ნახევარის წლით—4 მ., სამი თვით—2 მ. ́ 50 კ. თვიურათ ქუთაისში—80 კაპ., ქუთაისს გარეთ 90 კაპ. ცალკე ნუმრის ფასი ყველგან ერთი შაური. საზღვარგარეთ 14 მან. განცხადება პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ. სამგლოვიარო განცხადების ერთხელ დაბეჭდვა—3 მან.

რედაქტორ-გამომცემელი ა. სულაქველიძე.

ფულის გამოსაგზავნი ადრესი: Кутаисъ, Юстину Гавріил. Баланчивадзе.

ფულის მიღება შეიძლება მხოლოდ ბალანჩივაძის სახელზე. რედაქციის ადრესი: ქუთაისი, ალექსანდრეს ქუჩა, თედორაძის სახლი, № 6.

ქაღალდის პაკეტების ფაბრიკა და სწრაფლ-მბეჭდავი

გ. ლ. კვერღელიძისა და დ. ვ. რამიშვილისა

ბათუმში, პეტერბურგის ქუჩა, № 48 რკ. გზ. სადგურ. სიახლოვეს

მიიღება დაკვეთა ყოველნაირი ხარისხისა და ზომის პაკეტებზე: აფთიაქებისათვის კანდიტერებისათვის, საბაკალეინო მაღაზიებისათვის, ხილეულობისთვის და სხ. დაკვეთილი პაკეტები მზადდება ჩქარა და დროზედ კეთილ-სინიდისიერად ნიმუშები პირველ მოთხოვნილებისამებრ.

ფასები ყოველ კონკურენციის გარეშე.

დეპეშის ადრესი: Фабрика Квергелидзе и Рамишвили.

მ—1—1

შუშხუნა „ჩვენი გემო“ კვასი.

დღე არ გაივლის ისე, რომ ჩემმა ნაცნობ-მეგობრებმა საყვედური არ მითხრან: კვასმა „გემომ“ თავისი უწინდელი ღირსება დაკარგა და ეს არ უნდა მოგსვლოდაო. საყოველთაოდ ვაცხადებ, რომ ჩვენ არავითარი საერთო არა გვაქვს „გემოსთან“. ჩვენ, როგორც მისმა დამაარსებელმა და მოხელემ, გავაუქმეთ ის და მის მაგიერ დავაარსეთ „ჩვენი გემო“ და თუ „გემოს“ სახელით უშვებს ვინმე კვასს, ეს მხოლოდ სიყალბეა. და ამისთვის მაქვს პატივი ვაუწყო პატივცემულ საზოგადოებას, რომ ვისაც აინტერესებს კარგი ღირსების ნადუღი წყლიდან დამზადებული პურის კვასი, მოითხოვონ ყველგან „ჩვენი გემო“ და არ აურიონ ის მის მზგავს ფირმებში.

პატივისცემით მათე გორგილაძე და ამხანაგობა.

მისამართი: სუდების ქუჩა, სახლი № 6. 20—1—1

ექიმი ირ. ციხანოვსკი ღებულობს შინაგან, საშარდე, სასქესო, ვენერიულ სენით და სიფილისიან ავათმყოფებს დილის 10—12 საათ. საღამოს 5—7 საათამდე.

ადრესი: კარავან სარაისა და მიხაილოვის ქუჩების კუთხე, სასტუმრო „ლონდონი“.

ექიმი მ. მგალობლიშვილი იღებს ბავშთა, შინაგან და საბებიო სნეულ ავადმყოფთ, დილის 10—1 საათ. საღ. 5—7.

გაგარინის ქ. № 5, პოლიცმეისტრის კანცელარიის გვერდზე. 3—თ.

ტფილისი, ნაძალადევი.

ექიმი კბილისა

ა. (გ) ბ. დოლიძე გადავიდა ნაძალადევში რკ. გზ. ხიდის ახლოს ჩერქეზოვის ქუჩაზე № 145, ბ. დვალიძის სახლში.

სწამლობს კბილისა, ღრძილისა და პირის ავათმყოფობას, აგრეთვე აკეთებს პლომბებს, სწმენდს და აცილებს კბილის ქვას, იღებს უვარგის კბილებსა და ფესვებს და უდგამს ხელოვნურ კბილებს, დილის 8—2 ს-მდი და საღ. 4—7 საათ.

მ—1—1

Курсистка Моск. Высш. Жен. Курс. репетируетъ по всѣмъ предметамъ, (долголѣтняя практика) спеціальность русск. яз. и литература. Ивановская ул., близъ нагорнаго участка, д. Оганезовыхъ. Спросить Астафьеву.

## ქუთაისი, 1 ივლისი.

მესამე სახელ. დუმა უკვე ჩაბარდა ისტორიას. მთელმა მოწინავე რუსეთმა წყევა-კრულვით გააცილა ის. ხუთი წლის განმავლობაში მას არაფერი სასიკეთო ქვეყნისათვის არ გაუკეთებია, არ დაუკმაყოფილებია არც ერთი არსებითი მოთხოვნილება ცხოვრებისა. სახალხო წარმომადგენლობის დიდსა და პასუხსაგებ მოვალეობას ის ყოველთვის ივიწყებდა შეგნებულათ, წინასწარი განზრახვით, ვინაიდან სულ სხვა იყო მოწოდება იქ გაბატონებულ ელემენტებისა. შერყეული ძველი მდგომარეობის აღდგენა და გამაგრება, ახალ ფორმაში ძველი შინაარსის დატოვება—აი მთავარი მიზანი და ლეიტმოტივი 3 ივნისის „კანონმდებელთა“ მოღვაწეობისა. ამ მიზანსა და ხალხის ინტერესებს შუა გაუვალი უფსკრულია; პირველის განხორციელება მოასწავებს მეორეს დათრგუნვას. და ასეც იქცეოდა მესამე დუმა. ის მორჩილებით მიყვებოდა „დირიჟორის“ ჯოხს და ასე მოქმედებდა არა მარტო შიშით, არამედ უფრო საკუთარი სინიდისის თანახმათ.

5 წელიწადი საკანონმდებლო დაწესებულების ცხოვრებაში და ისიც ისეთ ქვეყანაში, სადაც ასეთი დაწესებულება პირველათ შემოდის, ძალიან დიდი დროა.

ამ ხნის განმავლობაში ჭეშმარიტი სახალხო წარმომადგენლობა შესძლებდა ახალი წყობილებისათვის მტკიცე საძირკველი ჩაეყარა, ბევრი საჭირ-ბოროტო კითხვა, რომელთა გადაუჭრელობა ქვეყნის წინსვლას ხელს უშლის, გაერჩია და გადაეწყვიტა. ცხადია, 3 ივნისის დუმა ამას ვერ შესძლებდა პირველ ყოვლისა იმიტომ, რომ იგი არ იყო ამაში დაინტერესებული. მარა მის მოღვაწეობის ხასიათსა და მიმართულებაზე მეორე გარემოებასაც ქონდა გავლენა: მესამე დუმა შეიკრიბა სწორეთ იმ დროს, როცა დამარცხებული საზოგადოება გულგრილობას მიეცა, როცა პოლიტიკურმა დაკნინებამ ფეხი მოიდგა ისეთ საზოგადოებრივ ჯგუფებშიც კი, სადაც ეს ყველაზე ნაკლებ მოსალოდნელი იყო. ეს მოვლენა შემდეგ წლებში კიდევ უფრო განვითარდა, დამარცხების უარყოფითი შედეგები უფრო მეტათ საგრძნობი შეიქნა, დაჩაგრული კლასების აღმაფრენას ფრთა შეეკვეცა, საზოგადოების მაჯისცემა ძალზე მოდუნდა, უილაჯობა და უიმედობა თითქმის საერთო მოვლენათ გადაიქცა. ასეთ პირობებში მემარჯვენე დუმა კიდევ უფრო მარჯვნივ უნდა გადახრილიყო.

ასეთია კანონი პოლიტიკური ცხოვრებისა.

ეს ატმოსფერა ცოტათი შეიცვალა მხოლოდ დუმის არსებობის უკანასკნელ ხანებში. ცხოვრება უკვე დაიძრა გაყინული წერტილიდან; ეს დღეს არავისთვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს. აქედანვე შეიძლება ითქვას, რომ მეოთხე დუმას მოუხდება მოქმედება სულ სხვა გვარ პოლიტიკურ ატმოსფერაში. ცხადია ამ, ასე ვთქვათ, ახალ ფაქტორს გავლენა ექნება როგორც მომავალ არჩევნებზე, ისე მეოთხე დუმის მოღვაწეობაზედაც.

## † იაკობ სვიმონის-ძე გოგებაშვილი.

გასული თვის დამდეგს ქართველობამ დაკარგა შესანიშნავი პიროვნება, იაკობ გოგებაშვილი. იგი ეკუთვნოდა მესამოცე წლების მოღვაწეთა გუნდს და საფლავის კარამდი შეუდრეკელათ ემსახურებოდა ერთხელ არჩეულ მიზანს.

განსვენებული იაკობი უპირველესათ საქმის კაცი იყო. ქართული შკოლისა და ენის დაცვა—აი რას ანაცვალა მან მთელი თავისი სიცოცხლე. იგი მთელი ორმოცი წლის განმავლობაში მედგრათ ებრძოდა ჩვენში სწავლა-აღზრდის საქმეში გამეფებულ უკუღმართობას. მან თავს იდვა ძნელი, მარა კეთილშობილური მოვალეობა. პირველი წლები, როცა იაკობი საზოგადო მოღვაწის როლში გამოვიდა, შავ-ბნელი დრო იყო ჩვენ ცხოვრებაში.

ეს ის დრო იყო, როცა დანიელ ჭონქაძეს—სურამის ციხის ავტორს ჩვენი ბრწყინვალე თავადობა მოსაკლავად დასდევდა, ეს ის დრო იყო, როცა ილია ჭავჭავაძეც კი ვერ ბედავდა ბატონყმობის წინააღმდეგ დაწერილ თავის ზოგიერთ ნაწარმოებთა გამოქვეყნებას! მერე სად იყო ამის მიზეზი? მაშინდელი საქართველო გულის მომკვლელ სურათს წარმოადგენდა: ირგვლივ საშინელი არეულ-დარევა და დეზორგანიზაცია იყო გამეფებული, გლეხობა ბატონყმურ მონობის უღელქვეშ იზნიქებოდა, ამ ურთიერთობის შვილი — თავად-აზნაურობა ან ჩინოვნიკებს იკრავდა და ან გარყვნილებას ეწეოდა. არ არსებობდა მწერლობა დღევანდელის სახით, არ არსებობდა საზოგადოებრივი აზრი—ერთის სიტყვით ირგვლივ სრული სიჩუმე იყო, „არსაიდან ხმა, არსით ძახილი...

ასეთ ატმოსფერაში შეუდგა იაკობი საზოგადო ასპარეზზე მუშაობას. საჭირო იყო რკინის ენერგია და ღრმა სიყვარული საქმისადმი, რომ ასეთ დროს უიმედობას არ მიეცა ადამიანი. იაკობს კი ერთიც და მეორე თვისებაც საკმაოთ ძლიერი აღმოაჩნდა.

და ისიც იღწოდა დაუღალავათ, ცვლიდა სხვ პრინციპებს სწავლა აღზრდის საქმეში. მან შექმნა ქართული პედაგოგიური ლიტერატურა. მისი „დედა ენა“ და მისი „ბუნების კარი“ დღეს ყოველმა წერაკითხვის მცოდნე ქართველმა იცის. განსვენებულის მოღვაწეობა ყველაზე უფრო საჭირო და სასარგებლო იყო ჩვენი ერის დაბალი წრეებისათვის. ეს უკანასკნელნი ყველაზე მეტათ დაინტერესებული არიან ქართული ენისა და ლიტერატურის განვითარებაში, ვინაიდან ეს მათ არსებით სულიერ მოთხოვნილებას შეადგენს. ამიტომ ისინი სიყვარულით და პატივისცემით მიეგებებიან ყველა გულწრფელ მოღვაწეს ეროვნულ კულტურის განვითარების სარბიელზე. ეს არ იქნება მათი მხრით უბრალო პატრიოტული ვალის გადახდა, არამედ დამსახურებული მადლობა სასარგებლო მოღვაწისადმი. სწორეთ ამ გარემოებით აიხსნება ის მოვლენა, რომ იაკობ გოგებაშვილის სიკვდილმა გული დასწვა განსაკუთრებული სიძლიერით ხალხის ფართო მასას.

ჩვენ ამ ჟამათ დრო და გარემოება ხელს არ გვიწყობს, რომ განსვენებულის მოღვაწეობას უფრო ვრცლათ შევეხოთ, ხოლო ვეცდებით კი ახლო მომავალში დაწვრილებით გავაცნოთ იგი ჩვენს მკითხველებს.

ეხლა კი ვისურვოთ, რომ იაკობ გოგებაშვილის უკვდავ საქმეს ბევრი მიმბაძველი გამოსჩენოდეს ჩვენში. ეს საუკეთესო პატივისცემა იქნება მისი ხსოვნისა.

ვ. ხ—ძე.

## ახალი ამბები.

**პარკის ფასი.** პარკის ფასი წელს საგრძნობლათ დაეცა. ქუთაისში ფუთი ფასობს 12 მ. 80 კაპიკი, ხონში 12 მან. 50 კაპ., სამტრედიაში 12 მ. 50 კ. სენაკში 11 მან. და 50 კაპ. ოზურგეთში 11 მ ზუგდიდში 10 მ. 50 კ. სვირში 12 მანეთი.

✦ **საფრანგეთში და იტალიაში**, როგორც დეპეშით იუწყებიან, პარკის უხვი მოსავალი ყოფილა.

✦ **კოოპერაციული დუქანი „პროგრესსი“.** ქუთაისში შედგა ამხანაგობა, სახელწოდებით „პროგრესსი“. ამხანაგობის გამგეობამ ქალაქის თეატრის გვერდით უკვე დაიქირავა დუქანი, რომელიც მოქმედებას დაიწყებს მარიობისთვის პირველ რიცხვებში. კოოპერაციულ დუქანში გასაყიდათ იქნება ყოველგვარი პირველ საჭირო ნივთები.

✦ **დასის გამგზავრება.** ქუთაისის დრამატიული დასის ზოგიერთი არტისტები ამ დღეებში გაემგზავრა ქუთაისიდან სამეგრელოში. დასს მეთაურობს **შალვა დადიანი.** არტისტები სამეგრელოს პროვინციებში რამოდენიმე წარმოდგენის გამართვას აპირებენ.

✦ **ავტომობილების მიმოსვლა.** შედგა ამხანაგობა, რომელიც ეპირება ხონსა და ქუთაისს შუა ავტომობილების მიმოსვლის მოწყობას. ამხანაგობას ავტომობილები უკვე გამოუწერია და როგორც ამბობენ ეკენისთვიდან უკვე მოქმედებას დაიწყებენ.

✦ **ხილის მოსავალი.** ჩვენ გვაცნობებენ, რომ სამეგრელოში ხილის მოსავალი ძალზე მცირეა, იმერეთში საშვალო, გურიაში კი უხვი.

✦ **ანტისანიტარული მდგომარეობა.** ქალაქ ქუთაისის განაპირა უბნებში მეტის მეტი უსუფთაობაა. ქუჩებში ხშირათ ყრია მკვდარი ცხოველები, რომლებიც იქვე იხრწნებიან და სწამლავენ ჰაერს. საკვირველია ქალაქის გამგეობა რათ არ აქცევს ყურადღებას ქალაქის განაპირა უბნების ანტისანიტარულ მდგომარეობას?

✦ **კავკასიის სასწავლო ოლქის** მზრუნველმა სამინისტროში ანგარიში წარადგინა 1911 წ. კავკასიის სკოლების მდგომარეობის შესახებ, საიდანაც ვტყობილობთ, რომ საანგარიშო წლის განმავლობაში დაუხურავთ 19 პირველდაწყებითი სასწავლებელი და 10 კერძო.

✦ **ქუთაისის წმინდა ნინოს** საქალებო სასწავლებლის სადვთო სჯულის მასწავლებელი დეკანოზი ერასტი მაჭარაძე დაინიშნა ხონის სავაჟო პროგიმნაზიაში სადვთო სჯულის მასწავლებლათ.

✦ **ოქმის შედგენა.** ბაზრის ზედამხედველმა პლატონ კორძაიამ 10 ივნისს საქალაქო წესდებათა სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის ოქმი შეუდგინა ძმებს გოგინოვებს.

✦ **დაპატიმრება.** 28 ივნისს ქუთაისის ვაგზალზე შეიპყრეს ჟანდარმებმა დეპოს მუშა ქაჯაია ქაჯაია. საპყრობილეში გაგზავნეს.

✦ 30 ივნისს ქუთაისის საოლქო სასამართლო შეუდგა პავლე მოდებაძის, ივანე მესხის, კოწია ანთაძის საქმეების გარჩევას. პირველს ასამართლებენ სისხლის სამართლის დებულების 1454 მუხ. ძალით, მეორეს, 1654 მუხლით და მესამეს 1654-ით.

✦ **მარსელიდან** იტყობინებიან: ბაზარზე ფასობს ფუთი პირველი ხარისხის გამხმარი აბრეშუმის პარკი 48 მ.—53 მანეთამდე; მეოთხე ხარისხის— 42მ- 45 მანეთამდე მესამე-25 მ. 30 მ. დომფალი ფასობს 20 მანეთი, პერბინიანი-10-13 მ.

✦ 29 ივნისს, ღამით კოლია ფანცხავა მიუხტა თავის სახელოსნო-საპარიკმახეროში ჩიჰაკაძეს, შემოკრა ხანჯალი თავში და გაიქცა. ფანცხავა შეიპყრეს, ჩიმაკაძე მსუბუქათაა დაჭრილი.

✦ დღეს ქიათურაში დანიშნულია ლიტერატურული გასამართლება. ასამართლებენ ილია **ჭავჭავაძის** პოემის გმირს **განდეგილს.** განდეგილს ბრალს სდებს ბ-ი. **გრიგოლ გიორგაძე,** იცავს ბ-ი. **არსენიძე**

✦ **საცდელი გაკვეთილები.** ქუთაისის სახალხო სკოლების პირველი რაიონის ინსპექტორი ბ-ნი **კაიოვი** აწყობს ხონში სანიმუშო საცდელ გაკვეთილებს. გაკვეთილები დაიწყება ამ დღეებში, და დაესწრებიან პირველი რაიონის სახალხო სკოლების ზოგიერთი მასწავლებლები.

✦ **პურის გაძვირება.** ქუთაისში პურის ფასმა ერთობ აიწია. მესამე ხარისხის პური იყიდება $4^1/_2$ კაპეიკათ. პურზე ნიხრის დასაკლებლათ დანიშნულია ქალაქის საბჭოს არაჩვეულებრივი სხდომა.

✦ ამ ჟამად ბათუმში სოფლის მასწავლებელთათვის კურსებია გამართული. უკითხავენ მასწავლებლებს ლექციებს სამეურნეო საგნებზე. კურსები დასრულდება ამ დღეებში კურსების დასრულების შემდეგ სახალხო სკოლების ინსპექტორს ბ-ნ გასპარიანცს განზრახვა აქვს მასწავლებლები სხვადასხვა ქალაქებში და დაბებში საექსკურსიოთ წაიყვანოს.

✦ გუშინ 30 ივნისს დ. ნაოლალევში არტისტმა დათიკო ჩარკვიანმა გამართა წარმოდგენა. ითამაშეს გუნიას სამ მოქმედებიანი კომედია „სიძე სიმამრი“

✦ ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიის ყოფილი დირექტორი ამ დღეებში გამგზავრდება კავკავში. ის იქ დანიშნულია იმავე თანამდებობაზე, რა თანამდებობაც ეჭირა ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში.

✦ ქუთაისის ქალაქის გამგეობა თანახმად გუბერნატორის მიწერილობისა უკვე შეუდგა სიების შედგენას მეოთხე სახ...

მწიფო სათათბიროში დეპუტატის არჩევნებში მონაწილეობის უფლების მქონე პირთა. სიების შედგენას მეთაურობს თვითმმართველობის მთავარი ზედამხედველის თანაშემწე აკაკი იოსელიანი. სიებს ადგენენ ევ. ჩიქოვანი, დ. მაჭავარიანი და ივ. ცქიტიშვილი.

## საარჩევნო სამზადისი.

ახლოვდება მეოთხე დუმის არჩევნები. აქა-იქ უკვე შეუდგენ საარჩევნო აგიტაციას, მარა ჯერ-ჯერობით უკანასკნელს მხოლოდ მემარჯვენენი, ნაციონალისტები და ოქტომბრისტები აწარმოებენ. სხვა საზოგადოებრივი ჯგუფები სდუმან—ასე სჩანს ყოველ შემთხვევაში გარეშე მაყურებლისათვის. ამ ჟამათ თითქმის ყველგან შეუდგენ საარჩევნო სიების შედგენას. როგორც ვიცით, ამ სიებს ქალაქებში ქალაქის გამგეობა ადგენს. კანონით მან თითონ უნდა შეიტანოს სიაში ყველა ამომრჩეველი, გარდა **ბინის დამქირავებლებისა, რომლებსაც ხაზინა ბინის გადასახადს არ ახდევინებს** და **პენსიონერებისა**. კანონით საარჩევნო ხმა ამათაც აქვთ, მარა საარჩევნო სიაში რომ შეტანილ იქნან, ამისთვის საჭიროა **თვითონ მათ განაცხადონ**, რომ უფლება აქვთ არჩევნებში მონაწილეობის მიღებისა, ისე კი ქალაქის გამგეობა ვალდებული არაა ისინი სიაში შეიტანოს.

სენატის განმარტებით ცალკე ბინათ ისეთი ბინა ითვლება, რომელიც ერთი ოთახისაგან მაინც შესდგება, აქვს ცალკე სამზარეულო და მისავალი და სხვა ბინასთან პირდაპირ შეერთებული არ არის; ასეთი ბინის პატრონები რომ საარჩევნო სიაში იქნან შეტანილი, ამისთვის საჭიროა სახლის პატრონიდან აიღონ წერილი, რომ ესა და ეს პირი ცხოვრობს მის სახლში და ქირაობს ბინას ერთი ან ორი ოთახისაგან ცალკე სამზარეულოთი და მისავალით; ეს წერილი უნდა წარუდგინონ შესაფერი განცხადებით ბოქაულს, რომელიც შეამოწმებს რა ამ ცნობას, მისცემს ბინის დამქირავებელს შესაფერ მოწმობას. ასეთი მოწმობის ძალით შემდეგ ქალაქის გამგეობამ ის სიაში უნდა შეიტანოს. პენსიონერებმა უნდა აიღონ მოწმობა, რომ ისინი ცხოვრობდენ მაზრაში, (ან ქალაქში) არა ნაკლებ ერთი წლისა და იღებენ პენსიას. პენსიის მიღების საბუთათ საპენსიო წიგნაკი გამოდგება. აი ასეთმა პირებმა ეს უნდა მოაწყონ მოკლე ხანში, ქუთაისში მაგალითად 12 ივლისამდი.

# დეპეშები.

(პ. დ. ს.)

29 ივნისი.

### რუსეთი.

**ტამბოვი**. ტამბოვის ერობამ სახელმწიფო საბჭოს წევრათ აირჩია ვ. მ. ანდრეევსკი.

**მოსკოვი**. აქ ჩამოვიდა გერმანიის კანცლერი ბეტმან-გოლვეგი.

**პეტერბურგი**. სახალხო განათლების სამინისტრომ დაამტკიცა ახალი პროგრამა რუსული ენისა და სიტყვიერებისა გიმნაზია—რეალური სასწავლებლებისათვის.

**მოსკოვი**. ებრაელებს, რომელთაც უფლება არ აქვთ ამ ქალაქში დროებით ცხოვრებისა, ნება მიეცათ მონაწილეობა მიიღონ წიგნის გამომცემელთა და გამყიდველთა სრულიად რუსეთის მეორე სიეზდში.

**ბოდაიბო**. ამ დღეებში მოხდა მხოლოდ წინასწარი განხილვა ხელფასის განსაზღვრის პირობების შესახებ. პირობების განხილვაში მონაწილეობას იღებდა სენ. მანუხინი. ლენის ამხანაგობა აცხადებს, რომ ხელფასის განსაზღვრის ახალ პირობას უნდა დაემატოს ის დამატებითი მუხლები, რომლებსაც ამხანაგობა წარმოადგენს. შინაარსი ამ დამატებითი მუხლებისა ჯერ არ არის გამოცხადებული. სწარმოებს მოლაპარაკება, რომელშიდაც მანუხინთან ერთად მონაწილეობას იღებს გუბერნატორი.

### უცხოეთი.

**კონსტანტინოპოლი**. სამსახურიდან გადადგენ: გენერალური შტაბის უფროსის თანაშემწე ხადი-ფაშა, სამხედრო მინისტრის ამხანაგი ფუად-ფაშა და მთავარი ინტენდანტი იზმაილ-ფაშა. მახმუდ შევკეტის მოადგილეთ ასახელებენ ნაზიმ-ფაშას. პალატამ მიიღო კანონპროექტი შესახებ სხვადასხვა გადასახადების გადიდებისა ომის ხარჯების დასაფარავათ.

**ლონდონი**. სათემო პალატა. გარეშე საქმეთა სამინისტროს ბიუჯეტის განხილვის დროს გრეიმ განაცხადა: ინგლისის საგარეო პოლიტიკა უცვლელი რჩება; ის დამყარებულია რუსეთსა და საფრანგეთთან მეგობრულ კავშირზე. თუ ჩვენ ვხედავთ, რომ რუსეთი და საფრანგეთი კეთილ განწყობილებაშია სხვა რომელიმე დიდ სახელმწიფოსთან, როგორც ამას ადგილი ქონდა ბალტიის ნავთსადგურში, ჩვენ სრული უფლება გვაქვს სიხარულით შევეგებოთ ამას, ვინაიდან დარწმუნებული ვართ, რომ რუსეთი და საფრანგეთი ისევე მეგობრულათ გვეცქერიან ჩვენ, როგორც ჩვენ ვუცქერით მათ. იმპერატორების ახლანდელი შეხვედრა და არც სხვა რამ ამის მსგავსი ჩვენ ზარალს არ მოგვიტანს და არც რაიმე უარყოფით გავლენას იქონიებს ინგლისსა და გერმანიას შუა არსებულ ურთიერთობაზე. სპარსეთის რკინის გზის შესახებ გრეიმ სთქვა: სანამ ინგლისი მხარს დაუჭერდეს ამ გეგმას, ხელშეკრულება უნდა დაიდვას რუსეთთან ამ გზის შტოების შესახებ, რომ კონტროლი ბრიტანიის გავლენის სფერაში ჩვენ გვეკუთვნოდეს და ჩვენი ვაჭრობა თანასწორ უფლებით იყოს აღჭურვილი.

— სპარსეთის შესახებ გრეიმ განაცხადა: რუსეთ-ინგლისის შეთანხმება სპარსეთის საქმეთა გამო აუცილებელ საჭიროებას შეიცავს. თუმცა ცუდი მდგომარეობაა დღეს სპარსეთში, მარა კიდევ უარესი იქნებოდა, რომ შეთანხმება არ ყოფილიყო. ინგლის-იაპონიის კავშირის შესახებ გრეიმ ის აზრი გამოსთქვა, რომ კავშირს კეთილი შედეგები ქონდა და არ გაუუარესებია ჩვენი დამოკიდებულება არცერთ სახელმწიფოსთან. რაც შეეხება რუსეთ-იაპონიის ურთიერთობას, ის ეხლა ძლიერ კარგია. გრეის შემდეგ ილაპარაკა შინარლოუმ, რომელმაც განაცხადა სამთა შეთანხმება საფუძველია ინგლისის საგარეო პოლიტიკისა.

**რეჯიო** (იტალია) ბისოლატიმ, კაბრინიმ და 14 სხვა სოციალისტმა დეპუტატმა გადასწყვიტეს დაარსონ ახალი პარტია სოციალის-რეფორმისტებისა.

**პეკინი**. მიუხედავათ იმისა, რომ ექვსმა სახელმწიფო ბანკირებმა და აგრეთვე ელჩებმა კატეგორიულათ განაცხადეს, რომ მოითხოვონ მიღებულ იქნას სესხის წინანდელი პირობები, თუ გინდ სესხის რაოდენობა შემცირდეს, ჩინელები გაურბიან გადაჭრილი პასუხის მიცემას და დაჟინებით ამტკიცებენ, რომ შეუძლებელია მათთვის ხსენებული პირობების მიღება. ოფიციოზი განაგრძობს ინსინუაციების ბეჭდვას და ბრალს სდებს რუსეთს. მონგოლების წაქეზებაში. ხმებია, რომ თავად ნაიენტს (?) განზრახვა აქვს მივიდეს ურგაში, რათა დაარწმუნოს იგი, რომ ხელი აიღოს დამოუკიდებლობაზე.

**კონსტანტინოპოლი**. ხმებია გავრცელებული, რომ სამსახურიდან დაითხოვენ „ერთობისა და პროგრესის“ ყველაზე უფრო გამოჩენილ წევრებს, მათ შორის ფოსტა-ტელეგრაფის მინისტრს ტალიატს და გზათ—ოჯავიდს. მახმუდ შევკეტის სამსახურიდან გასვლა ამტკიცებს, რომ კაბინეტი იძულებული შეიქნა დაეთმო უკმაყოფილო აფიცრობის სურვილისათვის, რათა თავიდან აეცილებია სისხლის ღვრა. გაზეთები ყველა თითქმის ერთხმათ მწუხარებას გამოსთქვამენ შევკეტის წასვლის გამო. „ტანინი“ დარწმუნებულია, რომ ამის მეტს აფიცრობას აღარ დაუთმობენ, პირიქით სამხედრო მინისტრის გადაყენება თითქოს სიგნალი იქნება გაძლიერებული რეპრესიებისა ჯარის უკმაყოფილო ნაწილის წინააღმდეგ.

**ვენა**. ვენის ქალაქის საბჭომ იქონია მსჯელობა იმ მოსამსახურეებზე, რომლებმაც ჩვეულებრივ სალაპარაკო ენათ არა ნემეცური ენები დაასახელა, და დაადგინა რომ მათ ასეთი უფლება არ აქვთ. საბჭომ ამ მოსამსახურეთა სია დაუგზავნა საქალაქო დაწესებულებებს სათანადო განკარგულებისათვის.

**პარიზი**. სენატმა მიიღო კანონპროექტი მაროკოში საფრანგეთის პროტექტორაციის შესახებ.

**ლისაბონი**. შეწყდა პარლამენტის სესია.

**ბრიუსელი**. დეპუტატების პალატა შეეხო მთავრობის პარტიის საარჩევნო ტაქტიკას. მოხდა დიდი შეტაკება. კლერიკალ ბრიფს ბრალს დებდენ, რომ მან ანტიკლერიკალები ცუდი სახელით მოიხსენია. სხდომა შეწყდა. ლიბერალმა დელვომ შრიფს სეკუნდანტები გაუგზავნა.

**თავრიზი**. არდებილიდან იუწყებიან: გუშინ რუსის რაზმმა სოფელ კულიარის ახლოს სროლა აუტეხა ცხენოსან შახსევანებს, რომლებიც მთებში გამოჩნდენ. შახსევანები ღამის სიბნელეში მიიმალენ. რუსების მხრივ დაჭრილია ერთი ცხენი და გაკაწრულია კაზაკი. შახსევანებს მოუკლეს 12 კაცი. აგარიდან იტყობინებიან, რომ შახსევანებმა შეკრეს ყველა გზები აგარასა და მეშკინს შუა. ძარცვა-გლეჯა გაზშირდა.

**პეკინი**. იუწყებიან, რომ ლიაონის პროვინციაში სერიოზული არეულობა დაიწყო. არეულობის ჩასაქრობათ ჯარი გაიგზავნა.

**ჩიფუ**. მიუხედავათ კონსულების მთავრობისადმი მიმართვისა, არეულობა ევროპის უბანში გრძელდება. რევოლვერებით და მაკრატლებით შეიარაღებული სალდათები ძალით აჭრიან ხალხს ნაწნავებს. მაღაზიები ისევ დაკეტილია.

**თავრიზი**. აგარიდან იუწყებიან: რუსეთის რაზმის უფროსმა აუხსნა შეკრებილ ხანებს, რომ ის გამოგზავნილია იმ შახსევანების დასჯელათ, რომლებმაც გაბედეს რუსის ჯარზე თავდასხმა არდაბილის ახლო და მოკლეს ოფიცერი და რამდენიმე სალდათი.

**თეირანი**. მოვიდა სურდარ-ჯანგი, რომელსაც თან ახლავს 200 მხედარი.

## ბევრის რამე-რუმე.

27 მაისს ადგილობრივ ქართულ შკოლაში მოხდა ქ. შ. წ. კ. გ. საზ. ფილიალურ განყოფილების წევრთა წლიური კრება. კრების მიზანს შეადგენდა: 1911 წლის ანგარიშის განხილვა-დამტკიცება, განყოფილების გამგეობის წევრთა ხელახალი არჩევნები და სხვა. ჩვენ აქ არ შევუდგებით კრების ანგარიშის დაწვრილებით გადმოცემას; ეს უბრალოთ დროს დაკარგვა იქნებოდა. ჩვენ გვაინტერესებს გამგეობის მოღვაწეობა დღიდან მისი არსებობისა. მისი მოღვაწეობა კი, როგორც ეს არა ერთხელ აღვნიშნავს, ერთად ერთი ქართული შკოლის გარშემო ტრიალებდა და ტრიალებს დღესაც. ხსენებულ შკოლას დღეს საკუთარი შენობაც აქვს, რომელიც თავისი ხარჯით აგო ადგილობრივმა ქართველმა კაპიტალისტმა ბ-მა მანსვეტაშვილმა. ამ შენობის ღირებულება 18000 მ. აღემატება. ეს შკოლა მართლაც რომ ძვირფასი განძია ადგილობრივი ქართველებისათვის, მაგრამ ვაი, რომ ამ განძის საქმე რიგზე ვერ ყოფილა დაყენებული! როგორც თვით ანგარიშიდან სჩანს, სწავლა-აღზრდის საქმე ისე ცუდ პირობებში სწარმოებს ამ შკოლაში, რომ ებრაელებთ მოწაფენი და მათი მშობლები, რომლებმაც ხსენებული შკოლის მესვეურთ თავიანთი შვილები აღსაზრდელათ მიაბარეს. მთელი სამი წლის განმავლობაში მასწავლებლები ზედი ზედ იცვლებოდენ. მეორე განყოფილების მასწავლებელს ქართული შკოლისას ქართულიც კი არ სცოდნოდა; ქართულის წინ, რუსულ გრამატიკას ასწავლიდენ. ბ-ნ ბოცვაძის სიტყვით, რომელსაც საანგარიშო წელს 20—21 მაისს რევიზია მოუხდენია შკოლაში, გამგეობას „დიდი პედაგოგიური შეცდომა ჩაუდენია, როცა სწავლება საგნებისა პირველ განყოფილებაშივე რუსულ ენაზე შემოუღიათ.“ და ეს სად? ქართულ შკოლაში! სწორეთ სასწაულია, რომ სამწუხარო არ იყოს! ასეთ არანორმალურ პირობებში ყოფილა ჩაყენებული იქნს ქართული შკოლა 1911 წელს. მისი არსებობა კი, 1909 წლიდან იწყება. მიუხედავათ ამისა გამგეობა იმ თავითვე ამაყობდა ამ შკოლით, ქვეყანას თავს აწონებდა, ჩვენ ჯვართ რაცა ვართ, თუარა სხვები ვინ არიანო. თვით გამგეობის წევრი ბ-ნი ნასიძე ხომ წამ-და-უწუმ ქებას უძღვნიდა გამგეობას დაუღალავი მოღვაწეობისათვის. მისი ხოტბის

# ფელეტონი.

## სამუშაოზე.

(რუსულიდან).

„მამილო, მამა, ნეტავი დილით
რათ ესწრაფვი ქარხნისკენ ჩქარა?
მითხარი, მითხარ, შენ გენაცვალე,
იქ სამუშაო ბევრია განა?“
სახე მომკრთალი, გაფითრებული,
რაღაც გამხდარი-თითქოს დამჭკნარა,
ადრე სწვევიან მწველი ფიქრები,
სევდაში მოსჩანს ბავში პატარა!
„ბევრია, ბევრი, ჩემო ბიჭიკო,
შვება-ხვედრია განცხრომის ძეთა,
ჩვენ კი მუშები იმას არ ვიცნობთ,
მუდამ შრომაში ვატარებთ დღეთა..
მძიმე ტვირთის ქვეშ დახრილი, შვილო,
ბევრი ჰყავს, ბევრი, ქვეყნიერებას,
უნდა დაიმსხვრას რკინის ჯაჭვები,—
ჩვენ თითონ ვსჭედავთ ბედნიერებას“...
„ნუ, ნუ მიდიხარ, ჩემო მამილო,
შენ გენაცვალე, მითხარ ზღაპარი“...
— არა მცალია, აი იძახის..
ის, შვილო, ქარხნის საყვირი არი!..

**რ. ლეჩხუმელი.**

## მე კაცისა.

მოთხრობა.

I.

ადამიანის გულში, ისე როგორც ბუნებაში, ათასნაირი სტიქიონური ძალები იფარავენ თავს, რომელთაც საკმაოა უცებ წამოყონ თავი—და ერთ წუთში თავდაყირა აყენებენ ყველაფერს, ნაცარ-ტუტათ აქცევენ იმას, რაც ისეთი მძლავრი და შეურყეველი გვეგონა.

რა თქმა უნდა დაფიქრებულხართ მიწის ძვრაზე, სეტყვაზე, წყალდიდობანიაღვარზე და სხვა ასეთ საშიშარ მოვლენებზე ბუნებაში. გინახავთ, რა თქმა უნდა, ახალ გაზაფხულზე ამწვანებულაყვავილებულ ველ-მინდვრებს რომ უცებ მძაფრი სუსხი დაჰკრავს, დასწვავს და ამახინჯებს, აპლექიანებს ყველაფერს. გახსოვთ, რა საკვირველია, თუ რა დღე დაადგა ქალაქ მესსინას კალაბრიაში ამ ორი წლის წინეთ, ქალაქ ლისსაბონს მეთვრამეტე საუკუნეში, ქალაქ პომპეიას ძველათ...

სცოდნა ადამიანს- მან აიშენა სახლი, თფილი სახლი, მჭიდროთ გადახურა ის, მჭიდროთ შეჰკრა მისი კედლები, მჭიდრო საფუძველზე დადგა ის. დეე იქროლოს, ჰყინოს-რა უჭირს ადამიანს, მას თფილი ბინა აქვს, ზის გუზგუზა ბუხრის წინ და... რა უჭირს ადამიანს! არ შეეძლო ადამიანს მარტო დგომა, მარტო ბძოლა, შეჰკრა მან ჯგუფები, საზოგადოებები, შექნა სახელმწიფო ორგანიზაცია-რა უჭირს ადამიანს! მარტო იგრძნო თავი მან მზგავსთა შორის-მონახა მან მეგობარი, ამხანაგი, ცოლი, შექმნა სიმღერა, პოეზია, ხელოვნება-რა უჭირს ადამიანს! დაიმორჩილა მან ზღვა, შეებრძოლა მანძილს და სძლია იგი, შეებრძოლა ბუნებას და დღითი დღე იმორჩილებს მას. რა უჭირს ადამიანს! უზარმაზარი ქალაქები, გრანდიოზული მანქანები, სხვა და სხვა ხრიკები-ყველა ეს შექმნა ადამიანმა და შეიარაღებული, ლაღი და მხიარული განაგრძობს ის ბრწყინვალე სვლას-მიდის წინ ჩვენი ადამიანი, მიდის ეს გვირგვინოსანი ცხებული, მიდის და არაფრის ეშინია. არაფრით არ განირჩეოდა ის ცხოველისაგან, დღეს ადამიანია, ვინ იცის რა იქნება ის ხვალ! ბევრისაგან ბევრი მიზანი უდევს მას წინ, შეგნებული მიზანი და სწამს, რომ ყველას განახორციელებს ის, მაგრამ ვინ იცის თუ კიდევ რა აქვს გასაკეთებელი მას ისეთი, რაც არ იცის, რაიც ვერ დაუნახავს მას ჯერ მომავალის სივრცეში. და ამ დიდი შეგნებით, ის ამაყი და მხიარული მიდის წინ, პირზე ღიმილით მიიმართება.. გზა, გზა დიდებულ ადამიანს, გზა ადამიანს, რომელიც გუშინ იყო მაიმუნი, დღეს ადამიანია და ხვალ კი ვინ იცის რამოდენას გაიზრდება, რათ იქცევა!... გზა ადამიანს!

რა უჭირს ადამიანს! და თბილ საბანში გახვეული, ტკბილ ოცნებებში მცურავი, შეყვარებული ადამიანი აპირებს დაისვენოს ერთი წუთით, აპირებს დაისვენოს. იქროლე, იქროლე ქარო, იგუგუნე და იტირე ველში, ჩამოჯექი სახლის სახურავზე და იგმინე!.. გაჰყინე, მოფინე თოვლი, აღელვე ზღვა- შეყვარებულს, ძლიერსა და იმედებით აღსავსე ადამიანს შენ ვერ შეაშინებ. ის მხეცი იყო-დღეს ადამიანია, ვინ იცის რა იქნება ის ხვალ? ვერ შეაშინებ ადამიანს, რომელსაც ასეთი დიდი მომავალი აქვს!...

და აი უცებ ვილაცამ დასძახა ძირს, დედა-მიწის გულში, ვიღაც გაიმართა თითქოს იქ წელში, გაიზმორა, გაიწოდინა. ამოიხრა ვილაცამ და აი სახლი დაეტაკა სახლს, კედელი კედელს.. გაშლილი, ტურფა ველი უცებ უშნო, მახინჯი კუზით შეიმკო, ამაყათ, ქედიერათ აღმართული მთა ოხრათ დაენარცხა ძირს. სადაც ზღვის ტალღები თამაშობდენ და ცელქობდენ, იქ კუნძული გაჩნდა, სადაც ხმელი იყო, იქ ზღვის ტალღები აგორდენ და სადაც სიცივე და ყინვა მეფობდა, იქ კვამლი და ცეცხლი ამოსკდა. ერთ წამში იცვალა ყველაფერი და ის, რაზედაც იმდენი შრომა დაიხარჯა, იმდენი ოფლი დაიღვარა, რაც ისეთი მაგარი და შეურყეველი ეგონათ, ისეთი ლამაზი და მწყობრი, ყველა ის ეხლა ერთ სიოხრის და სიმახინჯის სურათს წარმოადგენს... და ერთი წუთით იბადება ადამიანის გულში ეჭვი—რათ მოსწონდა თავი მას, თუ ამდენათ სუსტი იყო, თუ ამდენათ წარმავალი იყო ყველაფერი ის, რითაც ის ამაყობდა! და ერთი წუთით ადამიანის გულში იბადება სურათი, საშინელი და თან ნათელი, მარტივი სურათი, ისეთი უბრალო და ყოველ წუთში მოსალოდნელი, სურათი სიკვდილის და აღგვისა, საშინელი შეგნება, რომ მხოლოდ ერთი წუთია საჭირო, მხოლოთ ერთი წუთი კმარა, რომ არა თუ რომელიმე ქალაქი, არათუ რომელიმე კუთხე, არამედ მთელი დედამიწა იქცეს მტვრათ და ჰაერსათ ქცეული გაიფანტოს სივრცეში. და არ დარჩება ნაშთი მსოფლიოში ადამიანის არსებობისა, არავის ეცოდინება, რომ ჰყავდა ადამიანს ნიუტონი და ჰომეროსი, მარქსი და ჰიოტე, რომ იცოდა ადამიანმა ასტრონომია, რომ მსოფლიოში არსებობდა ერთი წერტილი, რომელზედაც მდგომ სულიერადამიანებს ხელში ეჭირათ სპექტროსკოპი და წარმოუდგენელ სიშორეზე მყოფ რომელიმე მნათობის ქიმიურ შედგენილობას სწავლობდა.. ყველაფერი, ყველაფერი გაქრება, რასაც ადამიანის ჰენიოსობა მისწვდა. ერთი წუთით ყველაფერი ეს მთელი თავისი საშიშროებით დაუდგება თვალწინ ადამიანს და...

და საცოდავია მაშინ ადამიანი, ყველა სულდგმულზე უფრო უბედური და საბრალო! საბედნიეროთ ეს მდგომარეობა მხოლოთ წუთიერია!

ასე თავდაყირა აყენებს ყველაფერს ერთი რამე სტიქიონური კატასტროფა. და ის, რაც შესაძლებელია მთელ მსოფლიოში, ხდება ადამიანის გულშიც. და ეს უკანასკნელი მით უფრო საშიშია, რომ თითქმის ყოველთვის მოულოდნელათ ხდება.

ერთი ასეთი კატასტროფის მსხვერპლი შეიქნა გიორგი ადამაშვილიც. ეს მოხდა ამნაირათ.

II.

ზაფხულის ერთ ცხელ დღეს, ნაშვადღევს, გიორგიმ ჩვეულებრივათ ინახულა თავისი ცოლი ნინა. ზანტათ, თითქოს დამფრთხალათ შეხვდა მას ცოლი, ჩვეულებრივ მხურვალეთ როდი აკოცა და იმ ნახევარი საათის განმავლობაში, რაც იმათ ერთად დაყვეს, ნინა გარინდებული და თითქოს განცვიფრებული იყო. ბუნდოვანათ იგრძნო ეს გიორგიმ, მაგრამ ყურადღება როდი მიაქცია. შემდეგ ნინამ დიდი სიფრთხილით, ქურდულათ შეაპარა გიორგის ხელში პაწია წერილი. და როცა ის ამ წერილს აძლევდა გიორგის, მაშინ მას ერთბაშათ ეცვალა ფერი, ბაგე აუთამაშდა, უჩვეულო, უხერხული ღიმილი გაეკრა ზედ და თან თვალები ძირს დაუშო. თითქოს უნდოდა კიდეც რაღაც ეთქვა, მაგრამ ვერ შეიძლო. ეს გიორგიმ აშკარათ შეამჩნია, მაგრამ უბრალოთ ახსნა-გაუჭირდა ადამიანს თვალთმაქცობაო. რა მიზნითაც უნდა იყოს გამოწვეული თვალთ-მაქცობა, პატიოსანი ადამიანისთვის ის საჩოთიროაო. და ამას გარდა რომ შეემჩნიათ წერილის საიდუმლოთ გადაცემა, ამას ცუდი შედეგი მოჰყვებოდა. ვინ იცის რა სწერია წერილში? და თუ გინდ სახიფათო არაფერი ეწეროს, მაინც აღარ ანახვებენ შემდეგში იმათ ერთმანეთს ასე თავისუფლად: და ამას გარდა ნინა არ არის შეჩვეული ქურდულათ წერილების გადაცემას. აქამდე წერილები დაქონდა ერთ ზედამხედველს, რომელიც ამას წინეთ დაითხოვეს სამსახურიდან და გიორგიმ ჯერ კიდევ ვერ მოაწყო საქმე სხვასთან... აი, როგორ ახსნა გიორგიმ ის გარემოება, რომ ნინა ისეთ უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა წერილის გადაცემის დროს. ინსტიქტურათ ჩაიპარა ჯიბეში მან წერილი და ღიმილით გადახედა, თვალებით მიეალერსა ნინას. ნინა უცებ გაწითლდა და ისევ ძირს დაუშო თვალები, ჩვეულებრივი ალერსით არ უპასუხა ქმარს. ამიტომ გიორგიმ სცადა ნინას „გამოლვიძება“.

— სხვა ნინიკ, დაგელიი ზღაპრები? და მარჯვენა ხელი ჩამოადო მას მხარზე.

— ვერ წარმოიდგენ რა მოწყენაა?

— გაზეთებში რა ყრია?

— სრულიად არაფერი...

— იმე, შე კაი ქალო, ქვეყანაზე იმდენი „ნასტავლი“ კაცებია და დევჯერო აფერს წერენ? გაიხსენა და გაიმეო-

ქუთაისის განყოფილება სავაჭრო სახლი ს. მ. კირაკოზოვი, ბ. გ. ოგანოვი და ამხ.
გიმნაზიის ქუჩა, საკუთარი სახლი
მთავარი განყოფილება ვლადიკავკაზში. განყოფილებები: ქ. ტფილისში, გიორგიევსკში, ანდიჯანში, პიატიგორსკში და გროზნოში.
С. М. КИРАКОЗОВЪ, Б. Г. ОГАНОВЪ и Ко
მიღებულია დიდძალი საქონელი სატინა, ბატისტი, ჩესუნჩა, პარუსინა კისეია, ჩითი და სხვა ქსოვილები ახალმოდის არშიებით.
ПОЛУЧЕНЪ ОГРОМНЫЙ ВЫБОРЪ Сатины батистовъ, чесунчи, парусины, кисеи, ситца и другихъ тканей съ модной каймой. 3—1—

წერილებით ,,სახალხო გაზეთი'' მუდამ აჭრელებული იყო. უცაბედათ გამჟღელი გულუხვი სტუმრებიც ქება-დიდებით იხსენიებდენ ბაქოს მამულიშვილებს. და თუ ვინმე გამოჩნდებოდა ისეთი, რომელიც კრიტიკულის თვალით შეხედავდა მათ მოღვაწეობას, იმ წამსვე სამშობლოს მოღალატეთ დასახავდენ და თავისებური ლანძღვა-გინებით გამოისტუმრებდენ. ასეთი თვალთმაქცობა, ლაჟღვრობა, უსაფუძვლო ყვირილი და თვრთი-თვურთი ხომ ჩვენი ,,პატრიოტების'' თან დაყოლილი სენია, და აბა ბაქოს მამულიშვილები უგან რატომ ჩამორჩებოდენ.

თუ გამგეობას დავუჯერებთ, ახლა შკოლის საქმე ნორმალურ პირობებში ყოფილა ჩაყენებული. ღმერთმა ქნას, ყოველ შემთხვევაში ამას მომავალი დაგვანახვებს. ახლა ვკითხოთ: მოსთხოვა რამე პასუხი კრებამ გამგეობას წევრებს ამგვარი ,,მოღვაწეობისათვის''? მისცა მას რამე შენიშვნა და გააფრთხილა მომავლისათვის? რომელი თქვენი ბრძანებაა! კრინტიც არავის დაუძრავს. ეველა დამუნჯებული გამგეობის წევრებს შესცქეროდა. ეს უკანასკნელები კი, საერთო დუმილით წათამამებულნი, ნამდვილი ,,ქართველური რაინდულის გამბედაობით'' თითონვე აკრიტიკებდენ თავიანთ თავს და ,,გასამართლებელ საბუთაც'' თითონვე იძლეოდენ.

გამგეობას ერთხელაც არ უზრუნავს წიგნთსაცავ-სამკითხველოს დაარსებაზე, სახალხო კითხვების, ლექციების და სადამოს კურსების მოწყობის შესახებ. ამის უმთავრეს მიზეზათ საკუთარი შენობის უქონლობა დაასახელეს. თუ საკუთარი შენობა არა, შეუძლებელი ყოფილა ორიოდე ლექციის მოწყობაც და ერა გაეწყობა, ჩვენც უნდა დავიცადოთ მანამდის, სანამ გამგეობა ქარვასლებს არ წამოჭიმავს ქ. ბაქოში.

დაბოლოს კრებამ უსიტყვოთ... უკანრავად, სიცილ-ხარხარით დაამტკიცა გამგეობის მიერ წარმოდგენილი ანგარიში, გამგეობის წევრებათ აირჩია ისევ ძველები და... დიდათ ნასიამოვნები და კმაყოფილი დაიშალა.

**დოლი.**

---

## გრ. რობაქიძის ლექციები.

ხ. ნ. ი. ჩვენს ენაწყლიანი „ლექტორს" გრ. რობაქიძეს, რომ მოდა გაუვიდა, ეს დღეს აშკარაა. დრომ ამოატივტივა და დრომვე დამარხა მისი „დიდება"! თუ ამ ორი-სამი წლის უკან რობაქიძის ლექციები აუარებელ მსმენელს იზიდავდა, დღეს იგივ ლექტორი ცარიელ დარბაზში ვარჯიშობს ფრაზეოლოგიაში. ეს თვალსაჩინოთ დამტკიცდა, როგორც წელს ისე შარშან ქუთაისში და თბილისში, ამ გარემოებამ პესიმისტურ ჰანგზე აალაპარაკა ჩვენი ლექტორი: საქართველო თითქმის გადაშენებულია და თუ მას ამმოკლე ხანში ხუთი გენიოსი მაინც არ დაებადა, სულ აღიგვება პირისაგან ქვეყნისაო. ერთის სიტყვით, რაკი რობაქიძის ფრაზეოლოგიის მოსასმენათ არავინ მოვიდა, საქართველოც გადაშენდა. ასეთია ლოღიკა ჩვენი „ზელექტორისა"... კარგა ხანს იყო რობაქიძე აგრე მისტიურათ გარინდებული ამ ფაქტის წინაშე, კარგა ხანს მისჩერებოდა იგი შორს ცისკიდურში მიმალულ შავ წერტილს და ბოლოს... ბოლოს უარყოფილმა, ცენტრებში სადაც ორი დღის „დიდების"ოქები და ჩლიქებიდა დარჩა „ქართველ ფილოსოფოსის" ირონიულათ წოდების სახით,-განიზრახა პროვინციების „დაპყრობაც"! გამოიმძღვარა წინ ერთი არტისტი და პირველათ ეწვია ხონს, სადაც ერთ საღამოს ჩააბულბულა ორი ლექცია! ერთი შოთა რუსთაველზე და მეორე ვაჟა-ფშაველაზე. ჩვენი საზოგადოების ფართე წრეებში გავრცელებულია ის აზრი, ვითომც რობაქიძე დამოუკიდებლათ მოაზროვნე, ორიგინალურ აზრებით მჩქეფი წყარო იყოს და სხვა ასეთი, ამის უტყუარობა შარშან აკაკი წერეთელმაც კი აღნიშნა. მაგრამ იმათთვის კი, ვინც დაახლოვებით მაინც იცნობს დღევანდელ რუსულ ლიტერატურას, აშკარა იყო, რომ რობაქიძე თავისას თითქმის არას ამბობდა და სხვის მიერ შექმნილ მსოფლმხედველობის, ასე ვსთქვათ, ქართული პოპულიარიზატორი იყო. დიახ, ეს ცხადი იყო, მაგრამ ,,მამულიშვილური გრძნობით აღტყინებულ, უსრულეს სულის მქონე'' ჩვენს რომანტიკულ-ნაციონალურ ინტელიგენციას ვინ დაარწმუნებს რასმეში? უგზო-უკვლოთ მოხეტიალეთა გულის დიქტატურაზე სად იყო რომ საღ-ზროვნებას გაემარჯვა?—სხვისი აზრებითვე შეზავებული ლექციები წაიკითხა აქ მან, მაგრამ მანამდე თუ უცხოელებს ბაძავდა, დღეს შინაურების აზრები თავისათ გაასაღა.

თავისათ გაასაღაო იმისათვის ვამბობ, რომ, როცა ის ანვითარებდა ამა თუ იმ ტეზისს თავის ლექციებისას, არასოდეს არ ამბობდა ასეთი შეხედულება ამ და ამ პირს ეკუთვნისო,—ის მხოლოდ ტეზისს წამოაყენებდა და ასაბუთებდა, მაყურებლებზე ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, რომ თითქოს ეს აზრები თვით რობაქიძის მიერ იყო გამოთქმული, ნამდვილათ კი, როგორც დავინახავთ, არაფერი ამის მაგვარი არ არის. დავიწყოთ ვეფხის ტყაოსნის ავტორიდან. ამ ლექციაში ლექტორს ჰქონდა ორი უმთავრესი დებულება: ა) ვეფხის ტყაოსნის ელინისტური მხარე და ბ) ეს ქმნილება ორიგინალურია, თუ ნათარგმნი. როგორც პირველ, ისე მეორე დებულებაზე ჩვენს მკვლევარებს ბევრი მელანი დაუხარჯავთ; ვეფხის ტყაოსნის ელინისტური მხარე სხვათა შორის აღნიშნული აქვს თავის შესანიშნავ წიგნში ნ. მარს, რომელიც, რობაქიძის სიტყვით, რამდენათ ნიჭიერი ისტორიკოსია, იმდენად უნიჭო დამფასებელია (ამაში რობაქიძე პირადათ მასთან ლაპარაკში დარწმუნებულა) ხელოვნურ ნაწარმოებისა. მეორე დებულება—თარგმანია თუ ორიგინალური „ვეფხის ტყაოსანი", რობაქიძემ ასე განმარტა: ეს ქმნილება არაფერ შემთხვევაში თარგმანი არაა, არამედ ორიგინალური ნაწარმოებია, მხოლოთ ეს კია, რომ მსგავსათ ფაუსტისა და შექსპირის ზოგიერთ ნაწარმოებთა, ხალხში არსებულ სიუჟეტის ხელოვნურათ გარდაქმნა არისო ეს უკანასკნელი აზრი ეკუთნის პროფ. ა. ხახანაშვილს და რობაქიძემ კი თავისათ გაასაღა. მოდით და ამის შემდეგ ნუ უწოდებთ მას „დამოუკიდებლათ მოაზროვნეს!" ასევე მოიქცა ის მეორე ლექციაში: „გაარჩია" ვაჟა ფშაველას „გველის მჭამელი" და დაახლოვებით ისეთივე აზრები გამოთქვა ამ ნაწარმოების შესახებ, როგორიც ივ. გომართელმა სთქვა „კვალში", მხოლოთ ეხლა მთლათ თავისებურათ შეაზავა თანამედროვე დეკადენტის ტერმინებით. ერთის სიტყვით, აქაც სხვისი აზრი თავისათ მიაწოდა ლამაზათ აკოწიწებულ ფრაზებით მთვრალ საზოგადოებას. მაგრამ ამ მეორე ლექციაში სხვა რამეც იყო საყურადღებო. პირველ ყოვლისა ის, რომ ვაჟა-ფშაველა არც ისე ათვალისწუნებული პოეტია დასავლეთ საქართველოში, როგორც ეს ლექტორმა ბრძანა და უნდა მოვახსენოთ, რომ ვაჟას დიდებაში იმის მეასეთადაც ვერ დაგვარწმუნა რობაქიძემ, როგორც ამაში თვით მადლიანი პოეტი გვარწმუნებს. რომ ვაჟას სიძლიერეში მართლაც რობაქიძეს დავერწმუნებინეთ და არა თვით პოეტს, მაშინ მართლაც ათვალისწუნებული ვინმე იქნებოდა მინდიას შემქნელი... მაგრამ რობაქიძეს აქ უფრო თავის „გენიალობის" გამოჩენა უნდოდა და იმისათვის დაგვისახა ვაჟა აქეთურ საქართველოში არათ მიუჩნეველ პოეტათ. აგრეთვე პირადი „მე" ქონდა მას სახეში, როცა ამ ლექციის დროს სთქვა დაახლოვებით შემდეგი: შარშან ერთ-ერთ რუსულ გამოჩენილ ჟურნალში მე დავსტამბე ვაჟას შესახებ წერილი, სადაც ვამტკიცებდი მის პირველ ყოფილ სამოსელში გახვეულ გენიოსობას. ამ წერილმა მიიქცია საზოგადოების ყურადღება და ჩემი ნაცნობი მწერლები მეკითხებოდენ—ვინ არის ეს ვაჟა, არ შეიძლება მისი აქ ჩამოყვანაო. მე ვუპასუხე: ვაჟა არ გასცვლის თავის მშვენიერ მთას პეტერბურგის ნისლიან დღეებში თქო და სხვა ასეთები. აქ რამდენი სიტყვაა, იმდენი გულის ამღვრევი თვითრეკლამაა და სხვა არაფერი. გამოჩენილი ჟურნალი, რუსეთის მწერლების ცნობა, საზოგადოების ყურადღების მიქცევა! რასაკვირველია, ეს ყველაფერი რობაქიძის ხვედრია აქ, საქართველოში და ასეა რუსეთშიც... გიკვირდეთ მამულიშვილნო! მაგრამ აქ ბევრი სიცრუეა. პირველი ის, რომ რობაქიძეზე ადრე ვაჟას შესახებ, თუ არ ვცდებით, ვესელოვსკიმ დასწერა წერილი მეორე ის, რომ რობაქიძის წერილს იოტისოდენა შთაბეჭდილებაც არ გამოუწვევია რუსულ პრესაში, მას ერთი კალამიც არ გამოუხმაურებია და მესამე ის, რომ ტყვილა გაუჩქთქია გულზე ჩვენს გამოჩენილ ჟურნალის თანამშრომელს რუსის მწერლებისათვის გული—ვაჟას აქ ვერ ნახავთო. აკი ის პეტერბურგში მგონი ორ წელს იყო.. მაშ რას ფოკუსნიკობს ჩვენი რობაქიძე? ან რათ მოაწერა იმ გამოჩენილ ჟურნალში თავის წერილს: „Гр. Робакидзе—Кавкасіелли"... რის მაქნისია ეს ორი ლასი ბოლოში?.. კვლავ გიკვირდეთ მამულიშვილნო! ყველაფერი ეს თქვენთვის საიდუმლოებაა და უნდა გარინდებული უცქიროთ, ვით რობაქიძე ქართველთა ერის ამაოების ფიქრის დროს.

მკითხველი იტყვის. ნუთუ სულ არაფერი ეკუთვნოდა რობაქიძეს დასახელებულ ლექციებშიო? კი, როგორ არა. ეს იყო მჭევრმეტყველობა, სიტყვათა ლივლივი და ფრაზიორობა. ამაში რობაქიძე ნიჭიერი არის. ამ ღირსებას ვერ წავართმევთ.

**ვინ-ხანინი.**

---

რა გიორგიმ ერთი ნაცნობი აზნაურის სიტყვები—ვითომ ანგლიეს და ფრანციეს ჩხუბი იქნებაო—ნეტე ვინ მიერევა, თუ იცი ნინიკ! ნინამ მოწყენილათ გაიღიმა

— ბიჭი რათ არ მოიყვანე? იცვალა კილო გიორგიმ—გვენატრება!

— სიცხე არის და შემეცოდა ბავშვი.

— ხომ ყოჩაღათ არის?

— ყოჩაღათ არის, მაგრამ ცელქობს ძალზე და იღლება.

— ეჰ, კარგი სყო ნინიკ იმისთვის სოფელი!

— მე არ შემიძლია იმის მოშორება! სწრაფი და მიშ ნარევი ხმით წამოიძახა ნინამ.

— უშენოთ ვინ ამბობს! გაიცინა გიორგიმ—გაგავიწყდა ნინიკ, რომ მე და შენ ამ ქვეყნად ობლები ვართ? აბა ვისან უნდა წავიდეს ბავშვი უშენოთ?

თითქოს შეკრთა ნინა, თითქოს ეტკინა რაღაც და ცოტაოდენი დუმილის შემდეგ უპასუხა:

— მე სად მცალია წასასვლელად! მე რომ ზაფხულზე სადმე წავიდე, ხომ დამეკარგა საქმე, რით უნდა ვიცხოვროთ, გიორგი!

საფუძვლიანი პასუხი იყო და რა ეთქმოდა გიორგის! მხოლოთ გულში იგრძნო მადლობა და ალერსი ცოლისადმი. ჩემი, ჩემი ნინიკა! როგორ გაიტანჯა საბრალო, როგორ უვლის ქმარ-შვილს! და ხელახლა გადახედა ცოლს, ხელ-ახლა მიეალერსა.

— ვფიცავარ მაჰმადის წვერებს, ნინიკ, შენ კარგი ქალი ხარ!

— გთხოვთ გაათავოთ! გაისმა ამ დროს დაბალი ხმა ციხის უფროსის თანაშემწისა, რომელსაც გაღებული საათი მუხლზე ედო. ნახევარი საათი უკვე გათავებულიყო—ისე ჩქარა! მაგრამ ნინას თითქოს იამა ეს—რათ წამოიჭრა ის აგრე ჩქარა და ასეთი ხალისით! გაუელვა გულში გიორგის.

— ეჰ, გათავდა... ნახვამდი ნინიკ...

და ის ზანტათ წამოდგა ფეხზე, ნინას გვერდში ამოუდგა.

— ნახვამდი გიორგი!

გადაუწია კისერი და მაგრათ აკოცა ტუჩებში ცოლს. რამდენიმეჯერ ზედიზედ ჩამოართვა ხელი და კარებისკენ წავიდა. კარებში ის შეჩერდა, შემოტრიალდა, გაუღიმა ნინას და ისევ შებრუნდა, მიიმალა. ნინა კი იდგა ერთ ადგილას ფერმკრთალი, თავდაღუნული და უნებური ღიმილით ბაგეზე...

### III.

ყოველთვის, როცა ნინას ინახულებდა გიორგი, უკან მშვენიერ გუნებაზე ბრუნდებოდა. მშვიდათ, სადათ გრძნობდა თავს, ხალისი, სიცოცხლე ილვიძებდა, ძლიერდებოდა გულში. და მღეროდა, მღეროდა გული.

თქვენ დამატუსაღეთ, ბატონებო, თქვენ დამტანჯეთ, ჩემი გატეხა მოინდომეთ — ვერა ვერ მოგართვით, ვერა! აი შემხედეთ. რა მშვენივრათ ვგრძნობ თავს, რა მხიარული ვარ მე, ტუსაღი გიორგი ადამაშვილი, თქვენი უმორჩილესი მონა და მოსამსახურე! მღეროდა, მღეროდა გული?

მგონი მხოლოდ სატუსაღოა ერთად ერთი დაწესებულება ამ ქვეყნად, სადაც ისე გრძნობიერდება ნერვები, რომ დიდი სიხარულისა, ან დიდი შეურაცყოფის გამოსაცდელად, სულ ცოტა რამ საბაბია საჭირო. და საყვარელ ადამიანის ნახვა კი—ეს ხომ დიდი რამ არის ტუსაღის უფერულ ცხოვრებაში.

მიიხურა კარები მის უკან და კლიტე რამდენიმეჯერ გადატრიალდა ბოლქომში. გიორგი დაამწყვდიეს. და თუ გიორგის, როცა კარები მის უკან იხურებოდა და სხვა კეტავდა მათ, ყოველთვის იპყრობდა გრძნობა გულის წყრომისა და შეურაცხყოფის, თუ ყოველთვის, მიუხედავად ორი წლის ტუსაღობისა, ებადებოდა მას სურვილი მობრუნებულიყო და წინაღმდეგობა გაეწია თავხედისთვის,—ასეთ წამებში, როცა ის ნახვიდან ბრუნდებოდა უკან, ის არ აქცევდა ყურადღებას არაფერს, ავიწყდებოდა ყველაფერი გარდა იმისა, რომ აი ის, გიორგი ადამაშვილი, არ არის მოძულებული, რომ ის უყვართ და ახსოვთ. ამ დღეს კი ამას გარდა ახსოვდა მას აგრეთვე ისიც, რომ მას ჯიბეში უდევს წერილი, რომლიდანაც ახალ-ახალ ამბებს გაიგებს... მღეროდა, მღეროდა გული.

და საკანში შესულმა მან წაიღო კიდეც ჯიბისკენ ხელი. რომ უცებ გადაიფიქრა. მოაგონდა, რომ როცა ტუსაღი ვისმეს ინახულებს, უკან დაბრუნებისას იმას ჭუჭრუტანიდან ადევნებენ თვალს—რა არის, აკრძალული რამ ხომ არ შემოაპარა, ხომ არ დაატყუა მცველებიო. მით უმეტეს სიფრთხილე საჭირო იყო იმ დღეს, რადგანაც ტალანში (კორიდორში) მორიგეობდა მთელ სატუსაღოში ცნობილი ზედამხედველი—ჯაშუში და მაბეზღარი. გიორგის კი, ერთხელ კიდევ გაიელო მან გულში, განსაკუთრებით სჭიროდა სიფრთხილე. ის პირისპირ ნახულობდა ცოლს, შეეძლო ხელი ხელში მიეცა იმისთვის, გადახვეოდა, გადაეკოცნა, გვერდში მოჯდომოდა. ეს დიდისაგან დიდი ბედნიერება ტუსაღისთვის—ერთი უბრალო იჭვი კი ყოველივეს მოსპობდა. არა, არ წაიკითხავს ჯერ წერილს, სიფრთხილეს თავი არ სტკივა...

და დაიწყო მან ბოლთის ცემა. ათიოდე ტუსაღი გაწოლილიყვნენ იქით აქეთ „ნარებზე", ორსა თუ სამს წიგნი ედო გვერდში, დანარჩენები იატაკს შესცქეროდენ. ერთი ვიღაც ღიღინებდა.

**ბერი.**

შემდეგი იქნება.

---

## უცხოეთი.

(გაზეთებიდან.)

**ბელგია** ამ ცოტა ხნის უკან ბელგიაში მოხდა მუშათა პარტიის არაჩვეულებრივი კონგრესი. გასარჩევი საკითხია საყოველთაო საარჩევნო უფლების შემოღება დეპუტატთა პალატის ასარჩევათ და საშვალებები, რომელთა მეოხებით აიგულებენ გაბატონებულ კლასს. ასეთი რეფორმა განახორციელონ. კრებას დაესწრო 1658 დელეგატი, წარმომადგენელი 1248 ორგანიზაციისა. დელეგატთა შორის სათათბირო ხმით იყო 258 წარმომადგენელი პროფესიონალური კავშირებისა, რომლებიც ჯერ პარტიის გარეშე დგანან. დიდი კამათის შემდეგ მიიღეს რეზოლიუცია, რომ მიანდონ მუშათა დეპუტატების პარლამენტში მოითხოვონ კონსტიტუციის გადასინჯვა არა უგვიანეს ნოემბრის სესიისა და მხარი დაუჭირონ ამ მოთხოვნას ყოველივე საშვალებით თვით საყოველთაო გაფიცვამდი. გაფიცვის დროს დანიშვნა და გამოცხადება მიენდო ამისთვის ცალკე დაარსებულ ორგანიზაციას. ქვანახშირის მადაროების მუშათა სინდიკატის წარმომადგენლები ახლავე მოითხოვდენ საყოველთაო გაფიცვის გამოცხადებას, არა ხმის დიდი უმეტესობით გადაწყდა დრო არ დანიშნონ და ემზადონ ენერგიულათ. მუშათა დეპუტატები სესიის გახსნისთანავე შეიტანებენ წინადადებას კონსტიტუციის გადასინჯვის შესახებ. ცხადია ბელგიას წინ უდგას დიდი და სერიოზული ამბები.

## რუსეთი.

**მეოთხე დუმის არჩევნების გარშემო.**

როგორ აპირობენ შეხვედრას?

მთავრობა უკვე ემზადება მეორე დუმის შესახვედრათ. მინისტრთა საბჭომ 16 ივნისის კრებაზედ დაადგინა შეიმუშავოს მთელი რიგი კანონპროექტებისა, რომ დუმის გახსნისას მთავრობას საშვალება ქონდეს თავისი აზრი გამოსთქვას საკანონმდებლო მოღვაწეობის შესახებ.

**დუმის მოწვევის ვადა:**

თუ როდის მოიწვიონ ახალი დუმა, ამ საკითხმა დიდი ეჭვები დაბადა მართველ წრეებში. პირველათ ფიქრობდენ საშვალება მიეცათ მე-3-მე დუმისთვის ბუნებრივი სიკვდილით გასცლოდა ქვეყანას, ე. ი. დაეთხოვათ 1 ნოემბერს. მარა საარჩევნო კამპანიის ჩატარება, როცა ოფიციალურათ დუმა იარსებებდა, შეუძლებლათ სცნეს, ხოლო არჩევნების დანიშვნა 1 ნოემბრის შემდეგ დააყოვნებდა მეოთხე დუმის მოწვევას. განსაკუთრებით დიდი წინაამღდეგი იყო ამის კოკოვცოვი, რომელიც საჭიროთ სთვლის დუმის ადრე შეკრებას ბიუჯეტის დასამტკიცებლათ. ამის გამო გადასწყვიტეს დუმა შემოდგომაზე მოიწვიონ. დრო არ დაუნიშნავთ, მარა ფიქრობენ მეოთხე დუმის პირველი სესია გახსნან ოქტომბრის დამდეგს.

**არჩევნების ვადა.**

პირველათ ფიქრობდენ არჩევნები სხვა და სხვა ადგილას სხვა და სხვა დროს დაენიშნათ ისე, რომ მემამულეებს სასოფლო მუშაობის დროს არ მოხდენოდათ საარჩევნო კრებებზე სიარული. ახლა ეს აზრი, როგორც სჩანს, უკუ აგდეს და გადასწყვიტეს არჩევნები დანიშნონ აგვისტოს ბოლოდან სექტემბრის დამდეგამდე. ბრძანება არჩევნების დანიშვნის შესახებ გამოიცემა რამდენიმე კვირით წინ, ამავე დროს დაითხოვენ მესამე დუმასაც

**ოფიციალური პლატფორმა.**

მთავრობა უცდის მოსავლის შედეგებს და მხოლოდ ამის შემდეგ მიმართავს საზოგადოებას თავისი პროგრამით. უმთავრესი პუნქტები, რასაც ის ყურადღებას მიაქცევს, იქნება: ფინანსების მშვენიერი მდგომარეობა, რასაც ამტკიცებს ვაჭრობა-მრეწველობის საერთო კონიუნქტურა და ფასიანი ქაღალდების ფასების აწევა და მეორეთ მტკიცე პოზიცია, რომელიც რუსეთს უჭირავს საგარეო პოლიტიკის სფეროში, რაც იმედს იძლევა, რომ მშვიდობიანობა არ დაირღვევა.

სავაჭრო სახლი ი. გოკიელის შვ-ბის სავაჭრო სახლი
ამით აუწყებს პატივცემულ საზოგადოებას—ვინაიდან საზღვარგარეთისა და რუსეთის პირველ ხარისხოვან მწარმოებლებთან შეღავათიანი პირობებით არის შეკრული, შესაძლებლათ სცნო მინიმუმამდე დასწიოს ფასი
საწერ და კანცელარიის საჭირო ნივთებზე.
ახალი პრეისკურანტები კანცელარიებს მუქთად დაურიგდება. მ.—1—4

? დავით ქეზაძე ? მ—1—4.

მკითხველების საყურადღებოთ
სავაჭროში ძმ. ფ. და ლ. ფილიპოვების სავაჭროში
ქუთაისში, მიხაილოვის ქუჩა ძმ. გოკიელოვების სავაჭროს გვერდით იყიდება შემდეგი საქონელი: ფარფორის, ფაიანსის, შუშეულის ნივთები, ყოველგვარი ლამპები, ემალიანი ჭურჭლები, სამზარეულოს ფეჩ-ბი და სპირტოვკები, სამოვრები, უთოები, მელხიორის ნივთები, ყოველგვარი კრაოტები, გიტარები, კლიონკები, სკამები და პირ-საბანები და სხვა.
დიდი კოლექცია ბავშვების სათამაშოების და ბევრი სხვა და სხვა საფეშქაშო ნივთების
პარტიით მყიდველთა საყურადღებოთ აქვე იყიდება დიდ-ძალი საპარტიო ყოველ გვარი ფაიანსის და შუშეულის საქონლები, ფასები შესამჩნევად დაკლებულია. მ—1—4

**გულგრილობა არჩევნებისადმი.** „რუს. სლოვოს" ატყობინებენ ტულიდან, ორიოლიდან, პენზიდან, სევასტოპოლიდან, ატკარსკიდან და გომელიდან, რომ მეოთხე დუმის არჩევნებს მკვიდრნი ერთობ გულგრილათ ეკიდებიან. მაგ. თავის დროზე არ ცდილობენ ბინის დამქირავებელნი და პენსიონერები, რომ ისინი სიებში ჩაიტანონ და სხვა.

**ამრჩეველთა რიცხვის გადიდება.** რომ ამ მოკლე ხანში სენატის ხელახალი განმარტებით ებრაელებისათვის კიდევ ერთხელ არჩევნების უფლება არ შეეკვეცათ, „რუს. სლ." ცნობით კიევში ამრჩეველთა რიცხვი საგრძნობლათ გადიდდებოდა. ქალაქის სტატისტიკურ ბიუროს ცნობით 1907 წ. ბინის დამქირავებელთაგან საარჩევნო ცენზი ექნებოდა 7,547 კაცს. 1911 წ. მათი რიცხვი იქნებოდა 15 ათასამდე, ეხლა კი 16,238-მდე ავიდოდა. ამგვარ ამრჩეველთა რიცხვი გამრავლებულა აგრეთვე მაზრაშიც. 1911 წ. ყოფილა 1991, ეხლა კი 2165.

**არქიეპ. სტეფანეს დარიგება.** კურსკში საეპარქიო სიეზდის დასრულებისას არქიეპისკოპოსმა სტეფანემ შემდეგის დარიგებით მიმართა მღვდლებს: გვიახლოვდება მეოთხე დუმის არჩევნები. სამღვდელოებამ ფართეთ უნდა გამოიყენოს თავის უფლება და არც ერთი ხმა არ უნდა დაკარგოს. ახლა უკვე ვიცით თუ ვინაა ეკლესიის მტერი და მოყვარე. მემარცხენეებზე არას გეტყვით, ისინი ხომ ჩვენი მტრები არიან, მაგრამ ოქტომბრისტებმაც ხომ ჩვენს წინააღმდეგ გამოილაშქრეს სამრევლო სკოლების საკითხში. ასე რომ არც ისინი ბრძანდებიან წმინდა სულის და ნაციონალისტებს მიეცით ხმა! წადით სოფლათ და შექმენით საჭირო სულიერი განწყობილება; თვითონაც მიიღეთ არჩევნებში მონაწილეობა და მრევლსაც ასწავლეთ თუ როგორ მოიქცეს.

**მონარქიულ ორგანიზაციებში.** მინსკში მოხდა მონარქიულ ორგანიზაციათა კრება ეფისკ. იოანეს თავმჯდომარეობით. კრების თხოვნით ეფისკოპოზმა დაივალა მომავალ არჩევნებში მონარქისტთა ხელმძღვანელობა.

**გაფიცვები.** გროდნოს გუბერნიის სოფ. ბელასტოკში შეიპყრეს კრებაზე 50 გაფიცული ფეიქარი.

— ქ. იაროსლავის გუბერნიაში მალცოვების შუშეულობის ქარხნების მუშები გაიფიცნენ, წარადგინეს ეკონომიური მოთხოვნილებანი, ქარხანა დროებით დაიხურა.

— დვინსკში ყუთების მკეთებელ ქარხნის მუშები გაიფიცნენ.

— კრემენჩუგში გაიფიცნენ როდკინის და მსტისლავსკის ხე-ტყის მხერხავი მუშები, მოითხოვეს სხვათა შორის ხელფასის გადიდება. ზოგიერთ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების შემდეგ მუშაობა განახლდა.

— ვარშავაში ამას წინეთ დაიხურა გაფიცვების გამო რუდზსკოვსკის ქარხანა; მუშები—რიცხვით 800, ქარხნის ადმინისტრაციას მიუღებელ ქირას—6000 მან. უჩივიან.

— ეკატერინოდარში გაიფიცნენ პაშკოვსკის ტრამვაის მუშები; მოითხოვეს ხელფასის მომატება და სამუშაო დღის შემოკლება. ადმინისტრაციამ ყველა ისინი დაითხოვა და მათ ადგილას სხვები მოიწვია.

**გაზეთის კონფისკაცია.** „ნევსკაია ზვეზდას" მე-14 № მთავრობამ კონფისკაცია უყო შემდეგის წერილებისთვის: „მესამე დუმა და მუშათა საკითხი" და „პოლიტიკური გაფიცვა რუსეთში".

**კასოს ცირკულიარი.** სახალხო განათლების მინისტრმა ცნობილმა კასომ ცირკულიარით მიმართა გიმნაზიების დირექტორებს წარმოადგინონ თავიანთი მოსაზრებანი ლათინურ და ბერძნულ ენების სამოსწავლო საათების გადიდების შესახებ.

## მუშათა შორის.

### წერილი ტუაპსიდან

მკითხველის ყურადღება მინდა მივაქციო ტუაპსეს დღევანდელ ვითარებაზე. დღეს პატარა ტუაპსე ყველასათვის ცნობილი შეიქნა თავისი თვალწარმტაცი ბუნებრივი სიკეკლუცით; მისი სახელი ამ 3-4 წლის წინად იშვიათად იხსენებოდა, დღეს კი ამ დაბის სახელი ვის გინდათ, რომ არ ეკეროს პირზე. აქ მოდიან ყოველ კუთხიდან კაპიტალისტები, მუშა არა მუშა, ჩარჩ-ვაჭრები... და აი ამ პატარა დაბიდან უხდება მუშებს მოგზაურობა 60-80 და ხშირად 100 მანძილზე ტუაპსე-არმავირის რკინის გზაზე სამუშაოს საძებნელად და აგრეთვე მაიკოპის რაიონის „პრომისლებში". მაგრამ წელს აქ ზამთრის მიზეზით საგრძნობელად შეჩერდა არმავირ-ტუაპსის რკინის გზაზე და მაიკოპის რაიონის „პრომისლებში" მუშაობა; ამან დიდ საგონებელში ჩააგდო აქაური მუშები და გულზე ხელ დაკრეფილნი შეუჩრებდენ კაპიტალისტებს და გაზაფხულის მოახლოებას. გაზაფხულიც მოახლოვდა, მარა მუშაობა მაინც არ დაწყებულა. ის მუშები, რომლებიც წარსულ ზაფხულში აქ მუშაობდენ, დღეს უადგილოთ დახეტებიან და ვალში ჩავარდნილებს ოჯახში დასაბრუნებელი ფულიც კი არ გააჩნიათ. ასეთია მდგომარეობა, მარა ქალაქ-დაბა-სოფლიდან ახალი მუშები შეუჩერებლივ მოდიან. ამას წინათ აქ ჩამოვიდა 300 კაცამდე შემდგარი სომხობა, ხუთი დღის უმუშავრათ ყოფნის შემდეგ ოჯახიდან წამოღებული უკანასკნელი კაპეიკებიც გაუთავდათ; სხვა გზა რომ აღარ იყო, მიმართეს თხოვნით ოლქის უფროსს—მიეცა მათთვის პურის ფული და სახლში გაეშვა. ოლქის უფროსმა მათი გამოკვლევა რამდენიმე დღის განმავლობაში ქალაქს დაავალა. დაბოლოს დიდი გაი-ვაგლახით ნაწილ-ნაწილათ გამოისტუმრა უკან. გაიგეს თუ არა სხვა მუშებმა— ადგილობრივ მუშებს „პრახოდნოს აძლევენო" დიდ ძალი მუშები ადმოჩნდა წასვლის მსურველი, მაგრამ ადმინისტრაციამ უარი უთხრა.

აღსანიშნავია ტუაპსე-არმავირის რკინის გზაზე გაჩენილი წვრილ „პოდრაჩიკების" ადვირ წახსნილი მოქმედება; ისინი სარგებლობენ მუშათა რიცხვის სიმრავლით და ისეთ ფასებში აძლევენ ნარდათ სამუშაოს, რომ მუშები დღე და ღამეს ასწორებენ და ძლივს ძლიობით აკეთებენ პურის ფასს.

ასეთია ამ ჟამათ ტუაპსე-არმავირის რკინის გზაზე მომუშავეთა მდგომარეობა; ხოლო რაც შეეხება ტუაპსეს, ხელფასი აქაც მცირეა უმუშავართა რიცხვი თან და თან მატულობს და ბევრს შინ დაბრუნებელი საშვალებაც კი არ გააჩნიათ.

6—რი

### ბათუმის დეპოს მუშები.

ზოგიერთი პირობების გამო, როგორც მოგეხსენებათ, დიდი ხანია ბათუმი წარმოების მხრით ძლიერ ჩამორჩა. ბათუმი დღეს დაჩიავდა და ამასთანავე ყოველი მხრით თვალსაჩინოდ დაქუცმაცდა. აქ ყოველივეს და ყველაფერს, ქალაქის თვითმართველობიდან დაწყებული უბრალო მუშებამდე, დაკნინების და უკან სვლის დაღი აზვია. გამონაკლისს ამ მხრივ არც დეპოს მუშები შეადგენენ. რაც დრო გადის, ადგილობრივ დეპოს მუშებს უფრო და უფრო დაქვეითება ემჩნევა. მგონი არსად ამიერ კავკასიის რკინის გზებზე მუშებს შორის ასეთი უთანხმოება, ერთი-მეორის გაუტანლობა არ არსებობს, როგორიც ადგილობრივ დეპოს მუშებს შორის.

„ვაგონის" ცეხის მუშებს „პარაოზის" ცეხის მუშები არ ეპიტნავებათ. მათ შორის სოლიდარობა არ არსებობს, ერთი-მეორის შურით და შუღლით არიან გაჟღენთილნი. მეორენი ზედმეტ ქირას დებულობენ, პირველნი კი ნაკლებს. „პარაოზის" ცეხის მუშები ზედმეტს მუშაობენ, მათ ღამითაც უხდებათ მუშაობა, აქ მუშას ცხრა საათის მუშაობა თერთმეტ საათის მუშაობათ ეწერება. ღამით მუშაობისათვის, რასაც ამ ცეხის მუშები მორიგეობით ასრულებენ, ორი საათი ზედმეტი ეწერებათ. „ვაგონის" ცეხში კი ასეთი ზედმეტი მუშაობა არ არსებობს და მაშასადამე შედარებით თვიურათ ნაკლებ ხელფასს დებულობენ. აი ეს თვიურათ მეტი ჯამაგირის აღება არის ამ ორი დარგის მუშებს შორის კინკლაობისა და შურის ჩამომგდები, რაიცა ხშირათ დეპოს უფროსთან საჩივრით თავდება. საქმის ასეთი გარემოებით შეურაცხყოფილნი „ვაგონის" ცეხის მუშები ხშირათ მიმართვენ ხოლმე დეპოს უფროსს: „პარაოზის ცეხის მუშებმა ჩვენზე მეტი დაიმუშავეს, ჩვენზე მეტი ქირა მიიღეს, ჩვენ-კი ნაკლებიდა მოიღეთ მოწყალება, იმათ წაართვით და ჩვენ მოგვიმატეთო". ამ ნიადაგზე დავა და კამათი არის ატეხილი დეპოს მუშებს შორის და დასახელებული საშვალებით ერთი-მეორეს შორის ბრძოლა არისგაჩაღებული: მთელი თვეები, კვირეები და დღეები ამ მათთვის ფრიად თავსატეხ კითხვის გარშემო ტრიალებს. და დეპოს მუშების ეს სადაო კითხვა, სავალალოდ, მუდამ ჯამაგირების დარიგების დროს უფრო და უფრო მწვავდება. გაატარა მუშამ დღეები, მაშასადამე, თვიურათ ნაკლები ქირა აიღო, იგი კი გაიძახის, რომ მე ნაკლები დავიმუშავე, შენ მეტიო. ეს მისი შეხედულობით უსამართლობაა და ამ უსამართლობის შესამცირებლათ უფროსთან საჩივრებით მიდის. მათი ფიქრით უფროსები ამ აწეწილ დაწეწილ საქმეს მოაგვარებენ, ჯამაგირებს გაათანასწორებენ, ნაკლებს ამუშავებენ და მეტ შრომის ფასს მისცემენ. აი ასე დაქვეითებამდი მივიდა დღეს დეპოს მუშები!

ჟურნალ-გაზეთების და წიგნების კითხვა, თავისი მდგომარეობის დაკვირვება და მისი მიზეზების შეგნებულათ გამონახვა და თანახმათ ამისა შეგნებული და შეერთებული ძალით ყოველგვარი ცხოვრების პირობების ცოტაოდნათ გაუმჯობესება, დეპოს მუშებში მისუსტდა, მიქრა; სოლიდარობა, შეერთებული ძალის დიადი მნიშვნელობა დამის გაქრეს. ნაცვლათ ყველა ამისა პირადი კინკლაობა, შენ-ჩემობა გამეფდა. იმ გზით და საშვალებით, რო გზითაც და საშვალებითაც ბათუმის დეპოს მუშები მდგომარეობის გაუმჯობესებას ფიქრობენ, გეჭვობთ რომ მიზანს მიაღწიონ. უმჯობესია, გონს მოვიდენ, მდგომარეობას უფრო სადი თვალით შეხედონ, აწმყო გაითვალისწინონ და უფრო შეგნებულათ და შეერთებულათ იმოქმედონ, თორემ ერთი-მეორეზე საჩივრებით ვერაფერს გაიტანენ.

ყალთაბანდიძე

### ქუთაისის ხარაზები.

დღეს აქაურ სახელოსნოებში მომუშავენი ძლიერ ჩამორჩენილი არიან ცხოვრებას თუ სხვა პროფესიის მუშები აუცილებელ მოთხოვნილებათ თვლიან გაზეთის კითხვას, საუბედუროთ, ჩვენი ხელოსნები გაზეთებს ისე გაურბიან როგორც ურია ღორის ხორცს. თუ სხვაგან ხელოსნები ლექციებს და წარმოდგენებს ესწრებიან, აქ ნუნუას და კარტ-ნარდის თამაშს ეწაფებიან. როცა რომელიმე შეგნებული პირი მიუთითებს მათ გაზეთების კითხვის საჭიროებაზე და ურჩევს თეატრში სიარულს, ამათ სიცილს დაუწყებენ და უპასუხებენ, „გაზეთების კითხვამ და ლექციებმა თქვენ რა მოგიტანა, რომ ჩვენ გვირჩევთო?" ან კიდევ „თეატრში სიარულს ის არ სჯობია, რომ ჩვენი ოფლით ნაშოვნი გროშებით ჩვენვე დრო გავატაროთ? ეს გარემოება აიხსნება მათი სიბრმავითა და განუვითარებლობით. საშინელ პირობებში უხდებათ მუშაობა, მათთვის არ არსებობს ნორმალური სამუშაო დღე, მუშაობენ თითქმის 16—18 საათს დღეში. ასეთ პირობებში მყოფნი, რა გასაკვირია, რომ გონება დაბნეული იყო

კოსტა ცერცვაძე.

### წერილი რედაქციის მიმართ.

ბ-ნო რედაქტორო!

ნება მიბოძეთ თქვენი პატივცემული გაზეთის „ჩვენი ცხოვრების საშვალებით უღრმესი მადლობა გამოვუცხადო ქვემოთ ჩამოთვლილ პირებს, რომელთაც არ დაიშურეს ქქვენოპნის შკოლის სასარგებლოთ შემოსწირეს თავიანთი წვლილი.

**თითო მანეთი შემოიტანეს.**

სიმონ გოგობერიძე, ესე ჯიბლაძე, სამსონ ლომაძე, ტიფო ქლენტი. ტიტიკო წულაია, გიგო ასათიანი, კალენიკე ჯანბერიძე, მირიან ლომაძე, სეფე ცქვიტინიძე, დათიკო ლომთათიძე, გიორგი ზურ. დოლიძე, ბესარიონ დოლიძე, ირაკლი გიორ. კალანდაძე, სევერიანე შალიკაშვილი, ილიკო კუტებიძე, ბესარიონ ლომაძე, რაჟდენ ჯაში, ესე კუტუბიძე, ივანე კუტუბიძე, სტეფანე სიმონაიშვილი, კირილე ლომაძე.

**ათ-ათი შაური:**

მელიტონ მგალობლიშვილი, სიმონ ბასილია, ყარამან მამალაძე, მოსე ქლენტი, თომა უშვერიძე, ივანე კოტრიკაძე, სიპიტო უნგიაძე, იაგორ ოქუჯავა, პორფირი მდინარაძე, ბერვან გიორგაძე, თეოფილე უნგიაძე, ვარლამ ანთაძე, ტარიელ ყაჭიეშვილი, იასონ ანთიძე, ნესტორ აბუსერიძე, ტარასი უშვერიძე, ალექსანდრე ვასაძე, გიორგი-შოთა—კალანდაძე, ანტონ ლომაძე, მელქისედეკ მგალობლიშვილი, ელიზბარ სეხნიეიშვილი, გიორგი კოტრიკაძე, ალექსანდრე სოსელია, სამსონ ჯაში, ვლადიმერ კუტუბიძე, ამბაკო დოლიძე, აფრასიონ ქლენტი, გიორგი თავბერიძე.

**ორ-ორი აბაზი:**

მიხა ქლენტი, გრიგოლ დოლიძე, სერგო ქერქაძე, იორდანე გარუჩავა, დიმიტრი წულაია, ასატურ მაქაროვი, დათიკო ქლენტი, გერასიმე ჩხიკვაძე, პლატონ ჩხიკვიშვილი. ლეონტი მიქაშავიძე, ლუდიკი თავბერიძე.

**ექვს-ექვსი შაური:**

გიორგი მარრი (გრაფი), ბიქტორ წიტაიშვილი, ბენია პაიჭიძე, გლახუნ ტუღუში, გიორგი მეგრელიშვილი, ირაკლი გიორგაძე, ალექსი თუნთია, ერმილე ბენდიეშვილი, დათა თავართქილაძე. ბაგრატ ბასილია.

მირიან გასილაიშვილი 35 კ.

**ხუთ-ხუთი შაური:**

ნოე მამალაძე, ალმასხან სიხარულიძე, კოწია ჩხიკვიშვილი, ნესტორ ანთიძე, დიმიტრი გიორგაძე, კირილე თავბერიძე.

**თითო აბაზი.**

ესტატე ჩაჩავა, ყაისარ ჩხიკვაძე, სარდიონ ყაჭიეშვილი,

სულ 47 60 კ.

**საშკოლო კომისიის მონდობილობით მასწ. ისიდორე ლომაძე.**

რედაქტორ-გამომცემელი
ა. სულაქველიძე.

მიიღება ხელის მოწერა 1912 წლისათვის
გაზეთი
წელიწადი მეორე „თემი" წელიწადი მეორე
ფასი გაზეთისა: წლიურად—2 მ. 50 კაპ. ნახევარი წლით—1 მ. 25 კაპ. ერთი თვით—25 კაპ. რედაქციის და კანტორის ადრესი: Дворцовая 6, редакція газеты „Т Е М И".
რედაქტორ-გამომცემელი გრ. დიასამიძე

მდინარე ფაზისის პირათ, თეთრ ხიდთან
გაიხსნა საზაფხულოთ
მიტროფანე ლალიძის და ამხ-ის
ხელოვნური სამკურნალო და ხილეულობის წყლის
წყლიანი სავაჭრო
სადაც ხილეულ-მადნეულ წყალს გარდა იყიდება საუკეთესო ქარხნის ლუდი, რძე, შოკოლადი, ნაყინი და სხვა. მ—1—4.